

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი

2015 წლის 9 სექტემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 12

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. შოთა სირაძე
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. თენგიზ აბაკელია
7. ლევან ქავთარაძე
8. როსტევეან გვარამია
9. მალხაზ ლაგვილავა
10. კახა მიქაბერიძე

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თ. ჟვანიას 31 აგვისტოს N01-02/1054 და N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მ. ლომაიას 1 სექტემბრის N8/15 წერილების განხილვა (2015 წლის 31 ოქტომბერს დანიშნული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების თაობაზე)

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარის რ. გვარამიას (03.09.2015 N260) განცხადების განხილვა (ლაშა გვასალიასთვის ფრაქციის წევრობის სტატუსის მოხსნის თაობაზე)

(მომხსენებელი: ნ. შუმანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 8 სექტემბრის N06/1539 წერილის განხილვა („ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს -

საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: შ. სირამე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შვებულებაში ყოფნის გამო დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-2 საკითხს წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი ბატონი თენგიზ აბაკელია

დღის წესრიგის კენჭისყრამდე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე (შ. სირამე) შემოვიდა წინადადებით, რომ დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი და მე-3 საკითხები იდენტურობიდან გამომდინარე გაერთიანებულიყო და განხილულიყო ერთ საკითხად

ბიუროს ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას პირველი და მე-3 საკითხების ერთად განხილვის თაობაზე

კენჭი ეყარა დღის წესრიგის კორექტირებულ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

კორექტირებული დღის წესრიგი:

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თ. ჟვანიას 31 აგვისტოს N01-02/1054, N66 ხოზის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მ. ლომაიას 1 სექტემბრის N8/15 და ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 8 სექტემბრის N06/1539 წერილების განხილვა („ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“)

(მომხსენებელი: შ. სირამე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარის რ. გვარამიას (03.09.2015 N260) განცხადების განხილვა (ლაშა გვასალიასთვის ფრაქციის წევრობის სტატუსის მოხსნის თაობაზე)

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თ. ჟვანიას 31 აგვისტოს N01-02/1054, N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მ. ლომაიას 1 სექტემბრის N8/15 და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 8 სექტემბრის N06/1539 წერილების განხილვა („ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“)

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: შ. სირაძე - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილები, რომელიც შეეხება 2015 წლის 31 ოქტომბერს დანიშნულ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებს, ასევე გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთას, ამასთან წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების გასამართად ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა, ასევე ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება წინასაარჩევნო აგიტაციისთვის განთავსდეს

არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები და განცხადებები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარის რ. გვარამიას (03.09.2015 N260) განცხადების განხილვა (ლაშა გვასალიასთვის ფრაქციის წევრობის სტატუსის მოხსნის თაობაზე)

(მომხსენებელი: თ. აბაკელია- სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი)

მოისმინეს: თ. აბაკელია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარის განცხადება, რომელსაც თან ერთვის ფრაქციის სხდომის ოქმი (ოქმს თან ერთვის), სადაც განმარტებულია, რომ საკრებულოს წევრმა ლაშა გვასალიამ პირადი განცხადების საფუძველზე უარი განაცხადა საკრებულოს წევრობაზე და მას ვადამდე ადრე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ფრაქციის მიერ განხილულ იქნა საკითხი მისი ფრაქციის წევრობიდან გასვლის თაობაზე

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა

სხდომის თავმჯდომარე



ედიმერ ჯოზავა